



© იუნისეფი/საქ-2010/ინანოშვილი

იუნისეფი და საქართველოს რაგბის კავშირი მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წასახალისებლად ერთიანდებიან

“იყავი სპორტული, იგრძენი ჯანსაღი ცხოვრება” — ეს იყო მთავარი ლოზუნგი 21 ნოემბერს, გორში გამართული რაგბის ფესტივალისა, რომელშიც 14-15 წლის ასაკის ბავშვები მონაწილეობდნენ. ქვეყნის მასშტაბით, მოზარდთა თორმეტმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა ტურნირში, რომელიც მიეძღვნა ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობას და თამბაქოს, ნარკოტიკების, აივ/მდიხისა და ალკოჰოლის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

“იუნისეფისათვის სპორტი ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ გართობა. სპორტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის განვითარებისათვის. ის ასწავლის ისეთ ძირითად ფასეულობებს, როგორებიცაა თანამშრომლობა და ურთიერთპატივისცემა. სპორტი აჯანსაღებს და ამცირებს დაავადების შანსს,” აღნიშნა რულანდ მონაშმა, იუნისეფის წარმომადგენელმა საქართველოში. “რაგბი ძალიან პოპულარულია საქართველოში და ახალგაზრდები ინტერესდებიან რაგბით არა მხოლოდ გამარჯვების, არამედ ერთად თამაშის სურვილისთვისაც, რაც ავითარებს ჭეშმარიტ გუნდურ სულისკვეთებას. ჩვენ ძალიან ვაფასებთ საქართველოს რაგბის კავშირის ხედვას მოზარდებ-

ში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის შესახებ და გვიხარია, რომ ვთანამშრომლობთ ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობის სასიკეთოდ”.

“რაგბი მხოლოდ ვარჯიში არაა, აქ ბავშვები ახალ მეგობრებსაც იძენენ”, აღნიშნა ნოდარ ანდლულაძემ, საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენელმა და ფესტივალის ორგანიზატორმა. “რაგბი ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღ წესს, რაც ასევე მავალითა სხვა ბავშვებისთვისაც. დარწმუნებული ვარ, ამ ბავშვების მეგობრებსაც გაუჩნდებათ აქტიური სპორტული ცხოვრების სურვილი.”

ტურნირის ბოლოს ფესტივალის მონაწილე ახალგაზრდებს დაურიგდათ სპეციალური სერთიფიკატები და პრიზები. ბავშვებს სიტყვით მიმართეს საქართველოს რაგბის კავშირის, რაგბის ეროვნული ნაკრებისა და იუნისეფის წარმომადგენლებმა და კიდევ ერთხელ გაამახვილეს ყურადღება სპორტული ცხოვრებისა და ჯანმრთელობის აუცილებლობაზე.

“მიყვარს რაგბის თამაში. აქ ბევრი მეგობარი შევიძინე და მიხარია, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშეები გავიცანი, შეიძლება, ოდესმე მეც ვითამაშო ეროვნულ ნაკრებში,” თქვა 14 წლის დავითმა, შეჯიბრის ერთ-ერთმა მონაწილემ.

საკონტაქტო პირი: ბენჯამინ პერკსი, იუნისეფის წარმომადგენლის მოადგილე, +995 95 304151, bparks@unicef.org

ბავშვთა საკითხები ქართულ მედიაში და ეთიკური სტანდარტები

ქართულ მედიაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება კანონთან კონფლიქტში მყოფი ან ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა შესახებ ინფორმაციის სენსაციური კუთხით გაშუქება და ამ ბავშვების იდენტიფიცირება. იუნისეფი, სხვა პარტიონებთან ერთად, თანამშრომლობს ჟურნალისტებთან, რათა ისინი უკეთ გაეცნონ ბავშვთა უფლებებს, ისევე როგორც შესაბამის ეთიკურ ნორმებსა და პროფესიულ სტანდარტებს.

საქართველოს ოთხ რეგიონში 80-ზე მეტ ჟურნალისტს ჩაუტარდა ტრენინგი ბავშვის უფლებებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ. ტრენინგების მიზანი იყო ქართულ მედიაში ბავშვთა საკითხების მეტი პასუხისმგებლობით გაშუქების ხელშეწყობა.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიღების 21-ე წლისთავთან დაკავშირებით 19 ნოემბერს “ფრონტლაინ ჯორჯია” კლუბში გაიმართა დისკუსია ბავშვთა საკითხების გაშუქებისას ეთიკური ნორმებისა და მედიის პროფესიული სტანდარტების დაცვის შესახებ. საქართველოს ერთ-ერთი დამოუკიდებელი ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა: “ახლა ჩვენ უფრო ფრთხილად ვიქნებით და შევეცდებით აღარ და-

პაატა ბურჭულაძე, იუნისეფის ახალი ელჩი საქართველოში

3 დეკემბერს ოპერის გამოჩენილი მომღერალი და მსოფლიოში სახელგანთქმული ბანი, პაატა ბურჭულაძე, საქართველოში იუნისეფის ელჩად დასახელდა. ამრიგად, პაატა ბურჭულაძე შეუერთდა იუნისეფის რიგებს ბავშვთა უფლებების დასაცავად.

“მივესალმებით პაატა ბურჭულაძის განცვირებას იუნისეფის დიდ ოჯახში,” განაცხადა რულანდ მონაშმა, იუნისეფის წარმომადგენელმა საქართველოში. “ბატონი ბურჭულაძის ხმა ახლა კიდევ უფრო ძლიერად გაიჟღერებს ბავშვების მხარდასაჭერად. ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ მისი პოპულარობისა და აქტიური მოღვაწეობის წყალობით, დარწმუნებული ვართ, ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების მიმართ საზოგადოების ყურადღება კიდევ უფრო გაიზრდება,” დასძინა მან.

“ჩემთვის ეს დიდი პატივია”, აღნიშნა პაატა ბურჭულაძემ, იუნისეფის ახალმა ელჩმა საქართველოში. “ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა და ყველანაირად ვეცდები გავაგრძელო ბავშვების დახმარება და გავამართლო მონიჭებული წოდება.” დაამატა მან.

ფონდ ‘იანანას’ ფარგლებში განუღო მუშაობის პარალელურად, პაატა ბურჭულაძის თანამშრომლობა იუნისეფის საქართველოს ოფისთან შესაძლებელს გახდის კიდევ უფრო გააქტიურდეს ძალისხმევა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად და



© იუნისეფი/საქ-2010/ინანოშვილი

მუშაობა მათთან, ვისაც ხელენიფება ბავშვების სასიკეთოდ კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება.

საკონტაქტო პირი: მაია ქურციკიძე, იუნისეფის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი, +995 99 533071, mkurtsikidze@unicef.org



ფოტო მონტაჟი/სასტუმრო რადისონის მიერ

საშობაო საქველმოქმედო ღონისძიება ბავშვებისათვის

დეკემბერში იუნისეფისა და სასტუმრო ‘რადისონ ბლუ ივერიას’ თანამშრომლობით საშობაო საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა. ასობით ბავშვი ეწვია

უზარმაზარ ტკბილეულის სახლს რადისონის ცენტრალურ შესასვლელში და იგი ფერადი კანფეტებით მორთო. გარდა ამისა, ბავშვებმა და მათმა მშობლებმა გარკვეული შემოწირულობაც გაიღეს გაჭირვებაში მყოფი თანატოლებისათვის. შეგროვილი თანხა გადაეცა იუნისეფის საქართველოს ოფისის სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განკუთვნილი პროგრამების მხარდასაჭერად.

სარედაქციო წერილი:

გაეროს ბავშვთა ფონდის(იუნისეფი), საინფორმაციო ბიულეტენი „იუნისეფი საქართველოში“ ყოველწლიურად გამოიცემა ინგლისურ და ქართულ ენებზე გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ. ბიულეტენის მიზანია მოსახლეობის ინფორმირება საქართველოში იუნისეფის მოღვაწეობის შესახებ.

წინამდებარე გამოცემა საინფორმაციო ბიულეტენის რიგით მეთოთხმეტე ნომერია. ჩვენ მივესალმებით შენიშვნებსა და რეკომენდაციებს საინფორმაციო ბიულეტენთან დაკავშირებით. გთხოვთ, გაცნობოთ, თუ რა დამატებითი ინფორმაციის მიღება გსურთ იუნისეფისა და მისი საქმიანობის შესახებ. თქვენ ასევე შეგიძლიათ გამოგიგზავნოთ საკუთარი მოსაზრებები, წინადადებები ან სხვა მასალა.

საინფორმაციო ბიულეტენის ან სხვა სახის ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელს მაია ქურციკიძეს იუნისეფის საქართველოს წარმომადგენლობაში.

ტელ: (995 32) 232388, 251130, ელ. ფოსტა: mkurtsikidze@unicef.org

წინასიტყვაობა



2011 წელს იწყება საქართველოს მთავრობისა და იუნისეფის ახალი, ხუთწლიანი პროგრამა, რომლის მიზანია დაეხმაროს ქვეყანას 2015 წლისათვის ათასწლეულის განვითარების იმ მიზნების მიღწევაში, რომლებიც ბავშვებს ეხება. ახალი პროგრამა ორი ძირითადი კომპონენ-

ტისგან შედგება, “ინტეგრირებული და ინკლუზიური სისტემები ბავშვებისათვის” და “სოციალური პოლიტიკა, ბავშვთა უფლებების მონიტორინგი და კომუნიკაცია”. პროგრამის მიზანია ბავშვებმა, განსაკუთრებით უღარიბესი ოჯახებიდან, ისარგებლონ ხარისხიანი სოციალური მომსახურებით და ცხოვრობდნენ ოჯახურ გარემოში. აღნიშნული პროგრამა ასევე დაეხმარება სახელმწიფოს, სასკოლო ასაკის ყველა ბავშვმა მიიღოს უფრო ხარისხიანი განათლება და შემცირდეს ბავშვთა სიკვდილიანობა პერინატალური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზით. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები კვლავ დარჩებიან ყურადღების ცენტრში,

ახალი სამოქმედო გეგმა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმისათვის

იუნისეფის მხარდაჭერით მიმდინარე ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმას უკვე მნიშვნელოვანი შედეგები აქვს. კერძოდ, დაიხვეწა შესაბამისი კანონმდებლობა, რათა ნაკლები ადმინისტრაციული ბარიერი არსებობდეს ბიოლოგიურ ოჯახში ბავშვის რეინტეგრაციისათვის ან მისი შეილად ან შვილობილად აყვანისათვის; გაძლიერდა სოციალური მუშაკის როლი; დაარსდა მეურვეობის რეგიონალური ორგანოები; ბავშვთა სახლებების რაოდენობა 46-დან 20-მდე, ხოლო იქ განთავსებული ბავშვების რიცხვი 5000-დან 1500-მდე შემცირდა; რეფორმის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით გაიხსნა 37 მცირე საოჯახო ტიპის სახლი.

2011 წლის იანვრიდან ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში იუნისეფი ითანამშრომლებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან:

რათა სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების დახმარებით რაც შეიძლება მეტი ბავშვი განერიდოს პენიტენციულ სისტემას. რასაკვირველია, ასევე, ვითანამშრომლებთ მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და მონიტორინგის კუთხით.

ამგვარად, ახალ წელს ვინცებთ ახალი პროგრამით, ახალი ვალდებულებებითა და განახლებული იმედით, რომ 2015 წლისათვის საქართველოში ყველა ბავშვი ისარგებლებს იმ მომსახურებებით, რომლებიც 2000 წელს განისაზღვრა. ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში და მარტო ჩვენი ძალისხმევა საკმარისი არ არის. მხოლოდ ჩვენს პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობითა შესაძლებელი ბავშვებისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებების მიღწევა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს თანამშრომლობა გაგრძელდება და საინფორმაციო ბიულეტენის მომდევნო გამოშვებებში რეგულარულად ვისაუბრებთ პროგრამის განხორციელებისას მიღწეული პროგრესის შესახებ.

რულანდ მონაშ
გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში



© იუნისეფი/საქ-2010/პიროლი



© იუნისეფი/საქ-2010/ლაგავანარდი

რობას ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის 2011-2012 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაში.

ახალი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ბავშვთა დიდი ზომის სააღმზრდელო დანახვების დახურვას; სოციალური სამუშაოს შემდგომ გაძლიერებას, მინდობითი აღზრდის (შვილობილობის) მოცულობისა და ხარისხის გაუმჯობესებას; მაქსიმუმ 8-10 ბავშვზე გათვლილი მცირე საოჯახო ტიპის სახლების რაოდენობის გაზრდას; ბავშვთა მიტოვების პრევენციისათვის საჭირო სამსახურების გაძლიერებას.

საკონტაქტო პირი: აარონ გრინბერგი, იუნისეფის ბავშვთა დაცვის პროგრამების ხელმძღვანელი, +995 99 91225290, agreenberg@unicef.org

ბავშვის ზრდისა და განვითარების პირადი ბარათი

2010 წლის 17 დეკემბერს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რეპროდუქციული ჯანმრთელობის საბჭოს, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და იუნისეფის ერთობლივი ძალისხმევით გაიმართა “ბავშვის ზრდისა და განვითარების ახალი პირადი ბარათის” პრეზენტაცია. 2011 წლიდან აღნიშნული წიგნი ყველა ახალშობილის მშობლისათვის იქნება ხელმისაწვდომი. „ბავშვის ზრდისა და განვითარების პირადი ბარათი“ ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარების ინდივიდუალური ისტორიაა და მიზნად ისახავს დააფიქსიროს ბავშვის ზრდა და განვითარება დაბადებიდან 6 წლამდე. „ბავშვის ზრდისა და განვითარების პირადი ბარათი“ ნაწილია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამისა და ის ბავშვის დაბადებისთანავე მშობლებს სამშობიაროებსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დანესებულებებში დაურიგდებათ. ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები დაეხმარებიან მშობლებს ბავშვის განვითარების ინდივიდუალური ისტორიის შედგენასა და მონიტორინგში, როგორც დედის სამშობიაროში ყოფნის დროს, ასევე შემდგომ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დანესებულებებში ვიზიტისას.

საგანმანათლებლო საშუალება — უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში მშობლებსა და მთლიანად ოჯახებს არა აქვთ საკმარისი ცოდნა და სათანადო პრაქტიკა



მშობელთა განათლება ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით

„ბავშვის ზრდისა და განვითარების პირად ბარათთან“ ერთად იუნისეფისა და სამოქალაქო რეესტრის თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა ბავშვთა აღრიცხვის ახალი ელექტრონული სისტემა. იგი შესაძლებელს ხდის, არსებობდეს მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზა საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სამედიცინო პერსონალისათვის ქვეყნის მასშტაბით.

მობილური კავშირის საშუალებით. მშობლებს რეგულარულად შეატყობინებენ ძირითადი მოვლენებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ და აცნობენ ბავშვზე ზრუნვის საუკეთესო პრაქტიკას. ამასთანავე, ახალი კომპიუტერული პროგრამა მშობლებს გაუზიარებს შეტყობინებას სხვადასხვა სამედიცინო და სოციალური პროგრამებისა თუ ღონისძიებების შესახებ. მაგალითად, გარკვეულ თარიღებში მათ გაეგზავნება შეტყობინება, რომელიც შეახსენებს მშობელს, რომ დროა ბავშვი, იმუნიზაციის ეროვნული კალენდრის თანახმად, ასაცრელად წაიყვანოს სამედიცინო კლინიკაში.

აღნიშნული მომსახურება ქვეყნის ყველა ძირითად ენაზე იქნება შესაძლებელი. მშობლებს თავად შეეძლებათ აირჩიონ ენა, რომელზედაც ისინი ისურვებენ ინფორმაციის მიღებას.

საკონტაქტო პირი: თამარ უგულავა, იუნისეფის ჯანდაცვის პროგრამის ხელმძღვანელი, +995 99 929009, tugulava@unicef.org

ბავშვები საქართველოში ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირებას სწავლობენ



© იუნისეფი/საქ-2010/ლაგავანარდი

ბავშვები და მათზე მზრუნველი მოზრდილები, განსაკუთრებით კონფლიქტით დაზარალებულ და ბუნებრივი კატასტროფების მაღალი რისკის მქონე რეგიონებში, ცუდად ერკვევიან, თუ როგორ უნდა იმოქმედონ საგანგებო მდგომარეობის დროს. უფრო მეტიც, არსებული საგანმანათლებლო პროგრამები და მასწავლებელთა გადამზადების პროგრამები ასეთი ინფორმაციის ნაკლებობას განიცდის.



© იუნისეფი/საქ-2010/ბიზანიშვილი

საქართველოში ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო-პროგრამის ხელმძღვანელი მხარეა, რაც გულისხმობს 2015 წლისათვის კატასტროფების შედეგად გამოწვეული ზარალის საგრძნობელ შემცირებას, ეს ეხება როგორც ადამიანების სიცოცხლეს, ისე სოციალურ-ეკონომიკურ ზარალსა და გარემოს დაზიანებას. სწორედ ამ მიზნით დაიწყო პარტნიორობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ნისტროს ეროვნული სასწავლო ცენტრისა და შეფასების ცენტრს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო მდგომარეობათა მართვის დეპარტამენტს, გაეროს ბავშვთა ფონდსა და ევროკავშირის ჰუმანიტარული დახმარების დეპარტამენტს შორის. აღნიშნული ინიციატივა ითვალისწინებს სკოლის სასწავლო პროგრამაში სპეციალური კურსის შეტანას ბუნებრივი კატასტროფების დროს ადექვატური რეაგირების შესახებ.

ჩამოყალიბდა სპეციალური ტექნიკური ჯგუფი, რომელიც შეისწავლის განათლების არსებულ სისტემას, კატასტროფებისათვის მზადყოფნის პოლიტიკას და ხელს შეუწყობს საგანგებო მდგომარეობისათვის მზადებისა და რისკების შემცირების როგორც სავალდებულო, ასევე კლასგარეშე, სასწავლო პროგრამების დანერგვას.

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია

2010 წლის 26 ნოემბერს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის, ნამების მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ცენტრისა და ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა, შეფასდა არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმისას მიღწეული პროგრესი.

აღნიშნული ინიციატივა ნაწილია პროექტისა, რომლის სახელწოდებაცაა “სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმირება არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის საქართველოში” და მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმას. პროექტს 2009 წლის მარტიდან ახორციელებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო და გაეროს ბავშვთა ფონდი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

2010 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მიერ შეიქმნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარების კონცეფცია სასჯელაღსრულების სისტემაში. კონცეფციის მთავარი არსია არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის ინდივიდუალური სამუშაო გეგმების შემუშავება, სადაც გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა ინდივიდუალური საჭიროებები და მოთხოვნები. შედეგად იქმნება კონკრეტული პროგრამა, რაც ხელს უწყობს არასრულწლოვანთა რესოციალიზაციას.

არასრულწლოვანთა საჭიროებების განსაზღვრა ხდება ფსიქოლოგების და სოციალური მუშაკების მიერ. პროექტის ფარგლებში სასჯელაღსრულების დანესებულებებში გაიზარდა ფსიქოლოგებისა და

აღნიშნული პროექტის ფარგლებში შემუშავდება სათანადო სახელმძღვანელო, მომზადდება გაივლიან მასწავლებლები და, ექსპერიმენტის სახით, სასწავლო პროგრამა დანერგება საქართველოს ისეთი რეგიონების რვა სკოლაში, სადაც ბუნებრივი კატასტროფები ყველაზე ხშირია, მათ შორის თბილისშიც. პროექტი ასევე, ითვალისწინებს შესაბამისი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებას, რომელიც კიდევ უფრო აამაღლებს საგანგებო მდგომარეობებზე რეაგირების სწავლების ხარისხს. ჩატარდება საინფორმაციო კამპანიები ბავშვებისათვის უსართხობის დაცვისა და ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული რისკების შემცირების შესახებ.

საკონტაქტო პირი: დრეგან მარკოვიჩი, იუნისეფის საგანგებო პროგრამების ხელმძღვანელი, +995 99 517614, dmarkovic@unicef.org



© იუნისეფი/საქ-2010/ბიზანიშვილი

სოციალური მუშაკების რაოდენობა და მოხდა მათი გადამზადება. მიღებული იქნა არასრულწლოვანთა დანესებულების ახალი დებულება, სადაც დეტალურად განისაზღვრა არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მომუშავე თითოეული მუშაკის უფლება-მოვალეობა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა განათლების ხარისხიც. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებით სპეციალური მომზადება გაიარეს სასჯელაღსრულების დანესებულების მასწავლებლებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

იუნისეფის დახმარებით ოქტომბერში დაარსდა სპეციალური საბჭო, რომელიც განიხილავს არასრულწლოვანთა პირობით ვადამდე განთავისუფლების საკითხებს. საბჭო უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა განსჯადების სათანადო განხილვას, რაც შედეგად ხელს შეუწყობს ბავშვთა რაოდენობის შემცირებას საპატიმრო დანესებულებებში.

საკონტაქტო პირი: აარონ გრინბერგი, იუნისეფის ბავშვთა დაცვის პროგრამების ხელმძღვანელი, +995 99 91225290, agreenberg@unicef.org